ფასი 5 კაპ.

კვირა, 17 ივნისი 1912 წ.



მათრახი

იუმორისტული ჟურნალი.

№ 1

ჟურნალზე ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება.
წერილები გამოიგზავნება: შრომის სტამბაში, ირეთელს.

რედაქციისაგან.

—

ბევრი რამ მოხდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ჩვენი „მათრახი“ კუთხეში ეგდო და მის ხელში აღებას და მოძრაობაში მოყვანას არავინ ფიქრობდა. მიზეზი ამისა მრავალი იყო. ჩვენ ამ მიზეზების ჩამოთვლას არ შეუდგებით. დღეს, წყალობითა ღვთისათა, განვიძრახეთ კვლავ ალვმართოთ „მათრახი“, მოთმინების ფიალა აივსო, ცხოვრება მყრალ გუბედ გადაიქცა და მისი ამოძრავება აუცილებელია. შური მტრობა, ორპირობა და ფლიდობა საზოგადო მოღვაწის სამოსელში გაეხვია და საჭიროა მისი გატიტვლება და მათრახით შეხურება. ჩვენ იმედი გვაქვს ყველა ამას შესძლებს ჩვენი „მათრახი“, ხოლო თუ მან თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა, ჩვენ მას საბოლოოთ დავაგდებთ კუთხეში, რომ აღარავინ ხელში არ აიღოს. ჩვენ არავითარ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ჩვენი „მათრახი როგორც გარეგნულად ისე შინაარსითაც უნაკლოული იყოს, მტერს გულზე უკბინოს და მოყვარის მხიარული სიცილი მოჰგვაროს, ხოლო როგორ შევასრულებთ ჩვენ დანაპირებს ამას მომავალი დაგვანახვებს.



და კვლავ სოფელს ვუბრუნდები.

—

დილის ღმერთი ტახტზე დაჯდა,
შორს გაჰფანტა ღამე ბნელი,
კავკასიონს სხივნი სტყორცნა,
დაუმშვენა ბროლის ყელი.
მწვერვალს მოწყდა ცელქი სიო,
შეარხია ტბის პირს ისლი,
ლაჟვარდისკენ გააფრინა
გაპენტილი თეთრი ნისლი.
მას, როგორც ფრთა, ზედ მოესხა
ჩემი აზრი, ჩემი ფიქრი
და მსოფლიოს ლურჯ სივრცეში
მასთან ერთად მივქრი...მივქრი!
ვერ მოთავსდა ამ ქაობში
ჩემი სული, ჩემი გული,
მინდა ვპოვო უცხო მხარე,
სადაც მეფობს სიხარული;
მაგრამ, სითაც პირს ვიბრუნებ,
ყველგან ისმის გლოვის ზარი
და, ვითარცა ჰილყვავთ გროვა,
თავს მეხვევა შავ ფიქრთ ჯარი.
მზათ ვარ დავგმო ცა და მიწა,
მზათ ვარ დავგმო შემოქმედი,
სიკვდილს ვსთხოვო ხსნა და შველა,
მოვიხარო მის წინ ქედი
მზათ ვარ... მაგრამ ფრთა გაშლილი
სიო ყურში ჩამჩურჩულებს:
„გულს ნუ იტეხ, ნუ ეძლევი
ფიქრებს სულის დამაწყლულებს:
გრწამდეს გრწამდეს ტანჯვის ხუნდი
სამუდამოთ დაიმსხვრევა,
ადამის ძე ფრთასა გაშლის,
ღრუბლებამდე აიწევა,
თვით ბუნების საიდუმლოს
ახსნის, ნექტარს გამოსწურავს
და გაქცეულ ნეტარებას
მოეწევა, დაიჭირავს!“
და ეს ჰანგი სანეტარო
გულში ახალ იმედს ბადებს,
მის ბუჩქებზე რწმენას ამყნის,
ტიტანიურ ძალას მმატებს
და კვლავ სოფელს ვუბრუნდები
ამირანის ცეცხლით ხელში,
რომ ავანთო მათი გული,
ვინც იხრჩობა ტანჯვის ცრემლში!

ვ. რუხაძე.

მისალოცი დეპეშები.

—

ორშაბათს 11 ივნისს გაზეთ „თემი“ ს უკანასკნელ გვერდზე განცხადება მოვათავსეთ, რომლითაც ვატყობინებდით ქართველ მკითხველ-საზოგადოებას „მათრახის“ განახლებას. საიმისო, რასაკვირველია აქ არაფერი იყო არც განცხადება იყო არა ჩვეულებრივი და არც თვით „მათრახის“ განახლება, მაგრამ ჩვენ სწორეთ დიდათ გაგვაოცა იმ გავლენამ, რომელიც მოუხდენია ჩვენს განცხადებას ზოგიერთ ჩვენ მოღვაწეებზე და საზოგადო დაწესებულებაზე. მას აქეთია თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დამტარებლები ჩვენს რედაქციაში მოდიან. ლამის არის მთელი ოთახი დეპეშებით აგვიმსონ. დღე ისე არ გაივლის, რომ ათასი დეპეშა არ მივიღოთ. ჩვენ რასაკვირველია არც დრო და არც ადგილი ნებას არ გვაძლევს ყველა დეპეშები და წერილები მოვათავსოთ. რომ გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას თუ ყოველი ახალით როგორი დაინტერესებული არიან ჩვენი მოღვაწენი და საზოგადო დაწესებულებანი მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

—

„დღეს დილის ცხრა საათზე (ვერაფერს გავხდი, მოსამსახურეები ცხრა საათზე ადრე მაინც არ იკრიბებიან, თუმცა მე რვაზე მოვდივარ) ქალაქის გამგეობის დარბაზში სამდლობელი პარაკლისი გადავიხადეთ „მათრახის“ განახლების გამო. „თემში“ მოთავსებულმა განცხადებამ სიხარულის ცრემლები გვაფრქვევინა. თუ ოდესმე და ვისთვისმე ყოფილა საჭირო „მათრახი“ აქ არის. არ ვიცი სიცხის ბრალია თუ სხვა რამე მოსამსახურენი დამიგიჟდენ. ლამის სული ამომხადონ „პოსობიების“ და „ოტპუსკეების“ თხოვნით. ან ერთი იკმარონ და ან მეორე. ხმოსნებსაც რაღაც ჭირი დამამართათ. დღე არ გადის ისე თითომ თითო თბილი ალაგი არ ჩაიგდოს ხელში და მიდიან ნელ-ნელა. ვგონებ მალე სულ დამიცარიელდეს საბჭოს დარბაზი. ყველა ამის გამო თქვენი „მათრახის“ განახლება მეტად სასიამოვნოა როცა საჭირო იქნება იმედია არ დაგვიგვიწყებთ. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს“.

ქალაქის თავი ა. ხატისოვი.

—

„სულით და გულით გილოცავთ განახლებას. „თემში“ მოთავსებულმა განცხადებამ ჩვენამდეც მოახწია და სიამოვნების ერუანტელი მოგვგვარა, როგორც მე ისე მთელ გამგეობას, საბჭოს, ხმოსნებს და მასთან ერთად მთელ მოქალაქეთ. ყველგან სიმშვიდე და კაცთა შორის სათნოება სუფევს. აქეთაც ძალუმი სიცხეები დაიპირა, ამიტომ ჯერ-ჯერობით არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ ხანდისხან რიონში ვბანაობთ. ხოლო დადგება თუ არა შეოდგომა და სიგრილე შემოჰკრავს, იცოცხლეთ, ჩვენ დავტრიალდეთ“.

ქუთ. ქალაქის თავი ჩიქოვანი.

—

ჩემს საყვარელ ბათუმს მოშორებული გიძღვნით სალამს და გილოცავთ განახლებას. ჩქარა დავბრუნდები. ჩემს მოსვლამდე ბათუმს ნუ შეეხებით.

პეტერბურგიდან—ბათუმის თავი ანდრონიკაშვილი.

—

„აღტაცებით ვეგებები თქვენს განახლებას დიდებული „მათრახო“. ისე ქართულ გემნაზიის ინსპექტორად დანიშვნის ამბავი არ გამხარებია, როგორც თქვენი განახლების ამბავი. თუ ადამიანობა და სინდისი გაქვთ ასეთ კრიტიკულ დროს ნუ მილალატებთ და დამეხმარეთ. თავი და ბოლო ვერ გავართვი ამ ოხერ კრებას. ფრიად ძნელი ყოფილა კრების თავმჯდომარეობა. არ ვიცი ჩვენ ქართულ თეატრს დასჩემდა ამ ბოლოს ასეთი თვისება თუ ჯერ კიდევ თავად-აზნაურთა კრების სუნი ტრიალებს და იმის ზე გავლენით ხდება ხშირი უწესოება წერა-კითხვის საზოგადოების კრებებზე. აღარ მშველის არც ზარი და არც ტკბილი სიტყვები. გიძღვნით სალამს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამგერ. საზოგ. კრების თავმჯდომარე ალ. მდივანი.

—

სალამი თქვენდა პატივცემულო „მათრახო“. თქვენმა განცხადებამ სიხარულით აატოკა ჩემი გული. ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ, სეზონი კარებზე მადგია, აუარებელი საქმეები მაქვს და გამგეობის წევრები ყველანი „საჰაეროთ“ გაიქცენ. დავრჩი მარტოთ და სწორეთ ეხლა მჭირდება თქვენი თავი. ამიტომაც სიხარულით ვეგებები თქვენს განახლებას.

ქართულ დრამატ. საზოგ. გამგეობის თავმჯდომარე ნ. ქართველიშვილი.

—

ნიშნად სიხარულისა ხვალ დავნიშნეთ „საოჯახო საღამო“. ნავთლუღიდან საბურთალომდე მოწვეულ არიან იაფ ლოტოზე ყველა — დიდი და პატარა, სნეული და დავრდომილი, ვისაც თავისით არ შეუძლია მოსვლა, საკაცით მოიტანენ. დიდის ამბით გადავიხდით თქვენი განახლების დღესასწაულს. დამსწრეთ დავატკბობთ სინემატოგრაფით და ბაქარის თამაშით. რადგან ქართველი საზოგადოება ძალიან შეეთვისა ჩვენ კლუბს, განზრახული გვაქვს ზამთარში გოლოვინის პროსპექტის მარჯვენა მხრის ყველა სახლები დავიპიროთ, რომ უფრო ფართა გავაშლევინოთ ასეთ ქართულ „კულტურულ“ დაწესებულებას. სხვამ ვერაფერმა გვიშველა, ჩვენი ხსნა აქ კლუბში უნდა ვეძებოთ.

ახალ კლუბის მამასახლისა საბჭო.

—

გვესმა ხმა თქვენი განახლების შესახებ და სიხარულით ცას დავეწიეთ. ჩვენი სიცოდვით ქვაც კი ატირდება, გავტყდით წელში. აუარებელი საქმეები გვაქვს და დამხმარე კი არავინ. წლობით ჩახლართულ საქმეებს ეხლა ვაწყობთ. აქეთ გამგეობა ხელებს გვიკრავს და თავისუფლათ ვერ გავნძრეულვართ და აქეთ ლამის არის სული ამოგვხდეს ამ პატარა ოთახებში. უმეტესათ სიცხის დროს ძალიან გაჭირვებული ვართ. კიდეც ამის ბრალია, რომ სოლომანს დავთრები დაებნა, მაშ რა მოუვიდოდა, ცალი ხელით ფულებს ითვლის და აწვდის და მეორეთი სწერს, ზოგს ხუთ თუმანს აყოლებს და ზოგს ათს. ისიც ასეთ მდგომარეობის ბრალი უნდა იყოს, რომ ნესტორ ხშირათ სთვლემს წერის დროს.

ქუთაისის ბანკის კანფოფადების დირექტორი
ი. ფანტხავა.

—

,,გამეხარდა თქვენი განახლების ამბავი, მაგრამ ეხლა რაღას მიშველით. დროზე მოგესწროთ იქნებ ,,ოპოზიცია'' დამემარცხებია თქვენის შემწეობით და სამაგიეროთ თქვენ თანამშრომლებსაც კაი თბილ ალაგებს მივცემდი, მაგრამ ,,წამხდარსა საქმეს'' ეხლა რაღა გამოაკეთებს. ცუდათ იყო საქმე ,,მწერალთა'' და ,,იურისტთა'' დეპუტაციას, რომ იმედი არ მოეცა და კაი გუნებაზე არ დავეყენებიე.

თავ. ანნ. ეფეფ. წინამძღოლი
ბ. ბაგრატიონ-დავითაშვილი.

—

,,მთელი გორი დიდის ზარით და ზეიმით შეხვდა თქვენი განახლების ამბავს. გაზეთის გამოცემა ცოტა ხნით კიდევ გადავდევით, ყველანი მინდვრათ გავედით და ესვამთ თქვენს სადღეგრძელოს''.

კაზ. „ქართველი“ რედ.-კამომტემელი
ია ეკალაძე-ტინტაძე.

—

,,მთელი კახეთი სიხარულის ცრემს ღვრის. ძარღვებმა თამაში დამიწყო და ღონეზე მოვედი. დღეს სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ ჩვენი გაზეთის რედაქციაში''.

კახურ გაზეთ ,,ხმა კახეთისა''-ს
რედ-კამომტემელი კ. ტუკვაძე.

—

ხონელებმა დეპუტაცია გამოვგზავნეთ, რომ პირადათ გადმოგცენ ის სიხარული და ნეტარება რომელიც ჩვენ განვიცადეთ თქვენის განახლების ამბის გაგებით.

ხონში განხრახულ კაზეთის მომავალი
რედაქტორ-კამომტემელი ბახტაძე.

—

მე, როგორც რედაქტორი, გამომცემელი, თანამშრომელი და თვით გაზეთი ,,ბათუმის გაზეთი'' გიძღვნი სალამს და გისურვებ დღეგრძელობას.

,,ბათუმის კაზეთი''-ს რედ.-კამომტემელი ჭელაძე.

—

გულს კინაღამ შემომეყარა, როცა გავიგე რომ ისევ ცოცხალი ყოფილხარ და აპირებ განახლებას. წყეულიც იყოს ის დღე როცა პირველათ გამოხვედი. მიიღე ჩემგან უზომო ზიზღი. რომ შესაძლებელი იყოს და ლიტერატურული ეთიკა ნებას მაძლევდეს უფრო კარგათ შეგამკობდი.

კაზეთ ,,კოლხიდა''-ს მონდობილობით
ქუთათური სიდოვანი.

—

გარდა ამისა აუარებელი დეპეშები მივიღეთ და მოგვდის კიდევ, მაგრამ ჯერ-ჯერობით შეუძლებლათ მიგვაჩნია ყველას დაბეჭდვა. თუ დრომ და გარემოებამ ხელი შეგვიწყო დანარჩენსაც შემდეგ მოვათავსებთ.

„მათრახის“ რედაქცია.





ორი ეშმაკი.

(დაინახავენ 'თუ არა ერთმანეთს გეფეგით კალაუხვეგეან და ხანგრძლივად ჰკოცნიან)

პირვ. ეშმაკი. მაკოცე! მაკოცე! (კოცნის).

მეორე ეშმაკი. კარგი ერთი ნუ დამახრჩვე!

პირვ. საიდან? რომელმა ქარმა გადმოგაგდო? სადა ხარ?

მეორე. შენ სადა ხარ თორემ, მე სულ აქა ვარ თფილისში.

პირვ. ბიჭო! თფილისში ხარ და ერთხელ ვერ გნახე ამდენი ხნის განმავლობაში? აგერ თითქმის ორი წელიწადი იქნება, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს. როგორ მოხდა ეს?

მეორე. აბა მე რა ვიცი.

პირვ. განა სად იყავი, ერთ ადგილზე იჯექი და ქუჩაში აღარ გამოდიოდი?

მეორე. ეჰ! აბა რა გითხრა, ჩემო ძმავ, მომკლა საზოგადო მოღვაწეობამ, არ დავკლებივარ არც ერთ საზოგადო კრებას, არც ერთ საზოგადო საქმეს, გავითქვიფე ცხოვრების ზღვაში და რა გასაკვირია თუ ერთმანეთს ვერ შევხვდით, ქუჩაში სასეირნოდ აბა სად მივიცლიდი.

პირვ. მაშ შენ, როგორც გეტყობა, ბევრი ახალი ამბები გეცოდინება მოდი ჩამოვსხდეთ და მოხსენი შენ გუდას. (ჩამოსხდებიან) უპირველეს ყოვლისა მითხარი თავად-აზნაურთა კრებას ესწრებოდი?

მეორე. ვა! გიჟი ხომ არ ხარ, მაშ რა ჯანაბას დავესწრებოდი თუ თავად-აზნაურთა კრებას არა. ერთი ეს მითხარი შენ სად ჯანდაბას იყავი, მე რომ მეკითხები აქაურ ამბავს, შენც ხომ თფილისში ხარ?

პირვ. ეჰ, ჩემი ამბავი რომ გითხრა გაგიკვირდება როგორ ვარ ცოცხალი. რვა თვეა ლოგინიდან არ ამდგარვარ, გავცივდი და კინაღამ სული დავლიე.

მეორე. მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩენილხარ, მომილოცნია.

პირვ. ერთი გეთაყვა მიამბე რა მოხდა თავადაზნაურთა კრებაზე. ამბობენ დიდი შეხლა-მოხლა იყოვო.

მეორე. რაო? შეხლა-მოხლაო? ჰმ! ხომ არ მასხარობ? ამოდენა კაცი გავზდილვარ და ისეთი სამაგალითო კრება მე ჯერ არ მინახავს. არ ვიცი რა მიზეზით, მხოლოდ ყველას ძალიან უხურდა თავი. ყოველ კრებაზე ისეთი სროლა იყო, რომ...

პირვ. (გაოცებული) რას ამბობ? მერე ბევრი დაიხოცა და დაიჭრა?

მეორე. (ღიმილით) დამშვიდდი. თოფ-ზარბანებს კი არ ისროდენ. იყო სროლა მწვავე და უცენზურო სიტყვების. ეგრეთ წოდებული „მარჯვენა და მარცხენა“ მხარე სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეება ერთი მეორეს.

პირვ. მერე რომელმა აჯობა?

მეორე. ისეთი საარაკო საქმე, როგორიც იქ მოხდა, ჯერ ვგონებ არსად მომხდარა.

პირვ. რა? რა მოხდა?

მეორე. კაცი მოჰკლეს.

პირვ. როგორ თუ მოჰკლეს? ვინ?

მეორე. ოპოზიციამ. მერე ვინ მოჰკლეს არ იკითხავ?

პირვ. ვინ? სთქვი ჩქარა?

მეორე. მოჰკლეს ბაგრატიონ-დავიდოვი.

პირვ. საბრალო! ძალიან ვსწუხვარ.

მეორე. მოჰკლეს ერთი კენჭით. ეს ამოდენმა კაცმა ერთ კენჭს ვეღარ გაუძლო და სული დალია.

პირვ. ?!!!

—

პირვ. ვგონებ წერა-კითხვის საზოგადოების კრება იყო ამ ცოტა ხანში?

მეორე. იყო.

პირვ. იყავი?

მეორე. ვიყავი, მაგრამ უმჯობესი იყო არ ვყოფილიყავი.

პირვ. რატომ? რა მოხდა?

მეორე. საკვირველი ჩვეულება გვაქვს ჩვენ ქართველებს: ყოველი კრება უთუოდ მუშტით იწ-

ყება და ლექსით თავდება, ან ლექსით იწყება და მუშტით თავდება.

პირვ. პოეტები ვართ.

მეორე. განა პოეზიას მუშტთან რა კავშირი აქვს?

პირვ. ძალიან დიდი. პოეტი ყველგან და ყოველთვის უნდა ეძებდეს ლექსის მასალას. მუშტში ბევრი რამ იმალება. ამას თავი დავანებოთ ერთი ეს მითხარი როგორ გათავდა წერა-კითხვის საზოგადოების კრება? გააკეთეს რამე?

მეორე. ბევრი, ძალიან ბევრი. დავით ხარტიშვილს ხომ იცნობ?

პირვ. (დიდ-ხანს იცინის) ვისა? დათიკოს? ვისაც ამ ქვეყნათ უცხოვრია, სადმე კრებას ან დასაფლავებას დასწრებია და დათიკოს ხმა არ სმენია ის ცოცხლებში არ უნდა ჩაითვალოს. მართალია დიდი ხანია არ მსმენია მისი ხმა, მარა ჩვენი მოღვაწე იაკობ გოგებაშვილის დასაფლავებაზე საკმაოთ გავძეხი მისი სიტყვებით. ჩაჟანგებული ყელი სულ გაიწმინდა. შენ ისა სთქვი რა მოხდა?

მეორე. დავით ხარტიშვილმა (თურმე საუცხოვო პოეტი ყოფილა) ლექსი წაიკითხა და მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, მაგრამ საუბედუროთ უცბათ კბილი ასტკივდა და ველარ დაასრულა.

პირვ. მერე? კრება ხომ არ დაშლილა?

მეორე. რასაკვირველია დაიშალა. ყველანი მისცვივდენ, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ ვერას გახდენ. ბოლოს როცა სახლისკენ წამოვიდა და კიბეზე ჩამოდიოდა, კოწია ჯაფარიძე მიეშველა და ავთმყოფი კბილი მოსტეხა.

პირვ. (დაღონებული) ეჰ! ხომ დაუშლის ეხლა ლაპარაკს?

მეორე. ეს კოწიამაც გაითვალისწინა და უნდოდა ყველა კბილები მოემტვრია, რომ შემდეგ ადვილი ყოფილიყო ხელოვნურის გაკეთება, მაგრამ აღარ გაუშვეს.

პირვ. სამწუხაროა. საჭირო კი იყო.

მეორე. მშვიდობით, შემდე კვირამდე, წავალ იქნებ კიდევ რასმე წავაწყდე.

პირვ. მშვიდობით!

მესტვირული.

მათრახი.

მე ტლინკაძე წოდებითა,
რომელს მწყალობს მუზათ ჯარი,
ვინც კალამი გაბასრული
„კოლხიდელებს“ შუბლში ეკარი,
ვინც „ულმობელს“ შესაფერათ
ავუქოთე ტვინის ქარი,
და ,,კვირიკეს'' საცოდავსა
შეურცხვინე მრუდე ქნარი...
აწ თფილისლებს გაბედულათ,
დავურეკო უნდა ზარი
და მოვფინო ჩვენს ქვეყანას
მით ამბები საოცარი.

და დავიწყებ ნიშადურის
პირველ-ყოფილ ავტორითა,
რომელიც სცემს მოქალაქეთ
ხან ბეჭით და ხან ტორითა.
ვინც უხმობდა ხანჯლოსნებსა,
ყრანტალობდა — ,,პოლიცია'',
ვინც სიგლახეს ემოყვრება,
არტისტათ კი — ნაფიცია...
(მაგრამ ახსნა რად მჭირია?
ყველამ იცის რა კვიცია!)

და ასე და ამნაირათ,
ანდრიაც კი ნაქებია,
ბღვერით ბევრსა შეუბღვირა,
თუმც არ წაუთაქებია.
(და ეს სულ პატრიოტული
ფაფხური და ბაქებია!)
ახლა ,,კლუბსა'' ვესტუმრები,
და მუნ ვნახავ კაცებს, ქალებს,
ღამეს იქ რო ათენებენ,—
იფშვნეტავენ დღისით თვალებს.
„ლოტო“, „კარტი“, „შახმატ-ნარდი“,
იქ ქეიფი, შინ კი დარდი;
—ასეთია მამულიშვილთ
ასპარეზი სანავარდი!
და თუ ანდრო და ვალიკო
გოგებაშვილთ მუშტით მარხვენ,
მაგიერათ „კარტველ-კალნი“
ქართველ დედათ ასე ძრახვენ..
და მეც ვარხევ ქების კალამს,
არ დავჩუტავ კიდევ სტვირსა,
და გვაზავს უძღვნი სალამს
იმ „კომეტას“ პოეტ-გმირსა.
ეხლახან შვა „დედა-მოკა“,
ბებიასაც შობავს ჩქარა,
და ქვეყანას გააკვირვებს, —
(თუ გიგომაც დაეხმარა!)
ერი უძღვნის ანწლის გვირგვინს,
თუ ამ რიგათ თოხნა—ბარა;
პატრიოტულ უშნო ყიყინს
ჩვეულია იგი.. მარა...
კმარა!..

და... გამოდის ხვალ გაზეთი,—
მას სახელათ ჰქვიან „ქართლი“,
მოდით, ნახეთ თქვენ იმისი:
მომკული და ნასამართლი!
მაგრამ ამას, ისევა სჯობს
არ ათხოვო კაცმა ყური,
—ფაფხურია უმნიშვნელო,
—ტრაბახია ქართველური!
და ქალაქის სამმართველოს
ასეთივე სჭირს ამბავი,—
„დისციპლინა“ სალდათური
არის უცხო სანახავი!
ჩამოუვლის ბაზარს „სტარში“
დაიწყება მწყობრი მარში,
ზედამხედველს ფერი უკრთის
და ციება უვლის ტანში.
„მოლჩატ“, „სმირნოს“ ძლიერება,
გამჯდარი აქვს მაგრათ ჯანში
და ყველა ეს უსწავლია
მოსკოვსა და ასტრახანში!
და თუ სწავნა ქრთამი ვინმემ
„რაზსილნოებს“ დაბრალდება:
სუსტს ძლიერი მუდამ ჩაგრავს,—
და ჩვენშიაც ასე ხდება.
მაგრამ კმარა... (თქვენს ტლინკაძეს
ამიტომაც გადახდება!)

—

მეტს ვერ ვასწრებ სადღეისოთ,—
ჟურნალს ბეჭდვა დაუბირეს,
რაც რომ დამრჩა აქ უთქმელი
წაიკითხეთ თქვენ იმ კვირეს!

ტლინკაძე.



შერეული ჰაერი.

(ტრადი-კომიკური ამბავი)

იქნებოდა დილის ხუთი საათი, როცა მეტის სიცხისაგან შეწუხებული ოთახიდან გამოვედი და ქალაქ გარეთ გავექანე. ჯერ კიდევ ყველას ეძინა. გრილმა ჰაერმა კარგ გუნებაზე დამაყენა, მიუშვირე გახურებული შუბლი გორაკებიდან მონაბერ სიოს და ღიღინით გაუდექ სამხედრო გზას. კარგა მანძილი გავიარე, გავსცდი თეთრ დუქანს და უცბად საიდგანლაც გულ საკლავი ტირილი შემომესმა ვიღაც საცოდავათ მოსთქვამდა. ეს ხმა თითქოს სწამლავდა მთელ ჰაერს, მთელ ბუნებას და მის სიმშვენიერეს, არღვევდა მთელ ჰარმონიას. ცუდ გუნებაზე დავდექი, ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა, უცბად ძლიერი სურვილი აღმეძრა გამეგო ვინ იყო ამ სისხამ დილაზე რომ ასე გულმოსაკლავათ მოსთქვამდა. შევჩერდი თვალი მოვავლე მიდამოს, ბევრი ვათვალიერე იქაურობა, მაგრამ ვერავინ შევამჩნიე. ყური დავუგდე. აშკარა იყო რომ ვიღაც სტიროდა. გადავსწყვიტე, როგორც უნდა ყოფილიყო გამეგო ვინ იყო და ყოველ ბუჩქის ძირს დავუწყე თვალიერება. ბოლოს ერთ ბუჩქთან წავაწყდი ვიღაც საოცარ ადამიანს. პერანგის ამარა ჩამჯდარიყო და თავ-პირის ხოკით საშინლათ მოსთქვამდა. თუმცა გადავსწყვიტე გიჟი უნდა იყოს მეთქი, მაგრამ გულმა აღარ მომითმინა მხარზე ხელი დავადე და შეეკითხე:

— ვინა ხარ? ან რა გატირებს?

უცნობმა თავი მაღლა აიღო, ტირილი შესწყვიტა, საცოდავათ პირი დაალო და ისეთის თვალით შემომხედა, რომ მისი სიცოდვით გული კი-

ნალამ წამივიდა. ოჰ! ეს თვალები! დღე და ღამ ეხლაც წინ მიდგას ეს თვალები. პოეტი უნდა ვიყო, რომ რაიმეს მივამგზავსო ეს თვალები, ზღვას, ცას, ხმელეთს. აქ ამ პატარა, ცრემლებისგან დასიებულ თვალებში თქვენ ამოიკითხავდით ყველაფერს, უზომო შიშს, მწუხარებას, წარსულის მწარე მოგონებას და სხვა. მომჩერებოდენ ისე, თითქოს ადამიანის სახეს მოწყურებულს სურდა ჩავეყლაპე, სამუდამოთ აღებეჭდა ჩემი სახე. როგორც შეენიშნე ღია პირში ენაც ჭერნდა, მაგრამ ის თითქოს სასას მიჰკროდა და სალაპარაკოთ არ ემორჩილებოდა. ასე გაიარა რამდენიმე წუთმა, ამ არა-ჩვეულებრივმა სანახაობამ თითქო ჩემზე ღრმა გავლენა მოახდინა, შიშმა შემიპყრო, უცნობს ისევ შევეხე უფრო ძლიერათ და თითქმის ყვირილით შევეკითხე:

— სთქვი ვინა ხარ?

— ზა... ზა... ძლივს წამოიკნავლა უცნობმა და ისევ ჩაუვარდა ენა.

— ვინა ხარ სთქვი? ან რა გინდა?

— „ზა... ზაა... ზა...“ რე...და...ქტო...რი... როგორც იქნა დაასრულა უცნობმა და გული შეუწუხდა.

ძლივს ძლივობით, მოვაბრუნე საბრალო, მივუჯექ გვერდზე, თავზე ხელი გადავუსვი და ტკბილათ დავუწყე გამოკითხვა რამ აიძულა პერანგის ამარა გამოქცეულიყო სახლიდან, ოჯახში უსიამოვნება ხომ არ მოუვიდა ან სხვა რამ.

უცნობმა ძალუმათ ამოიკვნესა, თავი გულზე მომადო და ტირილით დაიწყო.

— გატყობ კეთილი ადამიანი ხარ, თუმც ვერას მიშველი, მაგრამ მაინც გეტყვი, დღეს უნდა მომკლან! დღეს ჩემთვის უკანასკნელი დღეა. .

— როგორ თუ მოგკლან? რას ამბობ?

— დიახ! ასე ადრე იმიტომ წამოვედი, რომ უნდა მომკლან.

— ვინ? რატომ?

— უნდა მომკლას იმან, დიახ უნდა მომკლას, უნდა მესროლოს დამბაჩა, ტყვია გულში მომარტყას და მეც მოვკვდები.

უცნობს ტირილი წასქდა.

დავაშოშმინე.

— რა მოხდა? რა ამბავია? ან რათ უნდა მოგკლან?

— ამას ხედავ? — ყრუ ხმით მითხრა ოცნობმა და თავის ქვეშიდან ვეებერთელა დამბაჩა გამოათრია და ხელის კანკალით გადმომცა. — აი აქედან მე უნდა ვესროლო ტყვია მას. განა მე შემიძლია ამოდენა დამბაჩის გასროლა? ხომ შიშით მოვკვდი? — საბრალოს ისევ ტირილი წასქდა.

— ადამიანო გამაგებინე რათ ჰკლავთ ერთმანეთს?

— დუელს ვაკეთებთ. იყო პასუხი.

— დუელი?! რათა? რისთვის?

— მეც არ ვიცი. — წარმოიძახა მან და თავში ხელები წაიშინა.

ამ დროს მოისმა ცხენების თქარათქური და ეტლმა ჩამოგვიქროლა. უცნობი შიშმა შეიპყრო, ზეზე წამოვარდა და დააპირა გაქცევა მაგრამ ეტლში მსხდომნი დაეწიენ და საღდაც გაიყვანეს. მისი გულ საკლავი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან.

ამ არა ჩვეულებრივმა სანახაობამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ თითქმის სირბილით გავუდექ გზას, რომ საბოლოოთ გამეგო რა მოხდებოდა.

ერთ ტრიალ მინდორზე, იქ სადაც მხოლოდ ქილყვავები გამოდიან სათამაშოთ-გასართობათ, ეტლში მსხდომნი შემოხვეოდნენ ჩემს უცნობს და რაღაც ამბავში იყვენ. მეგონა ჰკლავენ უდანაშაულო ადამიანს მეთქი და ყვირილით გავექანე. შემდეგი სურათი წარმომიდგა. ჩემი უცნობი ორ ლონიერ ბიჭს მაგრათ ეჭირა ერთი მხრებში ჯოხებს უკეთებდა, რომ არ წაქცეულიყო და მეორე ხელზე თოკით დამბაჩას აკრავდა. უცნობის ღრიალით დამფრთხალი ქილყვავნი გულგახეთქილნი შორს მიფრინავდენ.

შორი ახლოს დავდექ და ველოდი რა მოხდებოდა. რით გათავდებოდა საზარელი დუელი.

როცა რედაქტორი გამამგრეს და მოშორდენ, რამდენიმე ნაბიჯს მოშორებით წინ დაუდგა ვიოაც უნობი და დამბაჩა დაუმიზნა. რედაქტორმა კივილი დაიწყო. უნდოდა დამბაჩა გაეგდო და წაქცეულიყო, მაგრამ ჯოხებს მაგრათ ეჭირა.

გაიარა რამდენიმე საზარელმა წუთმა. პირველათ რედაქტორს უნდა ესროლა, მაგრამ ის წაქცევას ცთილობდა.

უცბათ ორი ბიჭი მიეახლოვდა, დამბაჩიანი ხელი მაღლა აუწია და... გაისმა საზარელი გრიალი მას შეუერთდა რედაქტორის კივილი, ჯოხები შეირყა, ველარ გაუძლო და ყირამალა გადავარდა.

სწორეთ ამ დროს გავარდა მოწინააღმდეგის დამბაჩა. ორივე ტყვია ჰაერში ერთი მეორეს შეხვდა და ზუზუნით დაეშვა შორს

ჰაერი შეირყა, მთებმა ხანზარი დაიწყეს, გორაკს ამოცურებული მზე შიშით ისევ უკან ჩაძვრა. თეთრ დუქანში აივანზე მძინარე მოქეიფენი ძირს ჩამოცვივდენ სათავად-აზნაურო გემნაზიის სახუარავი ჩაინგრა, გოლოვინის პროსპექტზე მაღაზიის ფანჯრები ჩაილეწა, ქალაქის სამმართველოს თავზე საათს ისარი მოსტყდა.

ხოლო ორივე დუელისტი კი უვნებლათ გადარჩა.

ირეთელი.



უკანასკნელ ამბორსა გთხოვ!..

—

უკანასკნელ ამბორსა გთხოვ!
გვედრებ, თხოვნა ამისრულო,
გეფიცები, ვერ ავიტან,
შენ რომ ულვთოდ გამიძულო
მომარიდო შენი სახე,
დამაობლო, დამამცირო..
უკანასკნელ ამბორსა გთხოვ,
გევედრები, არ გამწირო!
ნუ თუ ჩემი აღარ გესმის?
ცივ ქვად იქცა შენი გული,
ჩემი გული კი არ გახსოვს,
ტრფობის ისრით გაბასრული?
პირი გიღიმს, გიხარიან,
მხედავ ვაგლახ-ანატირათ!
ნუ თუ ჩემი სულ არ გესმის?
გულით გექცა ქვათ და კირათ?!.
უკანასკვნელ ამბორს გთხოვდი,
შენ კი პირი მომარიდე,
მზე სიცოცხლის წარიტაცე,
აქ დასტოვე ღამის რიდე.
აღარ ვიცი, ჯოჯოხეთში
მე მექნება, თუ შენ ბინა?!
უკანასკნელ ამბორს გთხოვდი,
შენ ეს სიტყვაც კი გეწყინა...
ულვთოთ დასჭკნა ტრფობის ვარდი,
ზამთრის სუსხით დანათრთვილი
გულსა მსერავს სინანული,
რომ სიცოცხლე ჩაჰკვდა ჩჩვილი!
სხვა ყვავილი?!. ველარ მხიბლავს
ვერც შროშანი, ველარც ია,
და თუმც დასჭკნა ტრფობის ვარდი,
ის კუბოშიც ლამაზია!..

ნ. ზომლეთელი.

სიტყვა თქმული ბ-ნ სოსიკო მერკვილაძის მიერ იაკობ გოგებაშვილის დასაფლავებაზე*)

სიბერემ წელში გამტეხა, თავისი წაუშლელი დაღი დაასვა ჩემი სხეულის ყოველ ნაკვთს. მაგრამ გული მაინც არ გამტეხია. ამ ხნის განმავლობაში არ მომკვდარა არც ერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე, არ დაწყებულა არც ერთი საზოგადო საქმე, არ მომხდარა არც ერთი საზოგადო კრება, რომ მე იქ არ ვყოფილიყო და არ ამემეტყველებია ბაგენი ჩემნი და არ დამეტკბო დამსწრეთა ყურთა სმენა ჩემი ეშხრო სიტყვებით. საზოგადო კრებებზე ხშირათ ჩუმათ ვარ, ხოლო თუ ყური მოვკარი, რომ ვინმემ საქართველო ახსენა ყვირილით ჰაერს ვაყრუებ. ეგ ჩემთვის საჭიროა, რომ სამშობლოს დამცველათ დამსახონ. საზოგადო მოღვაწის დასაფლავებაზე პროცესიას მუდამ წინ მიუძღვები და წესიერებას ვარღვევ. ეს თქვენც კარგათ იცით, ჩვენო სასიქადულო მოღვაწე, იაკობ. აი სწორედ დღეს დილა ადრიან მოვემზადე, რომ პატივი მეცა თქვენი ცხედრისთვის. წუხელ მთელი ღამე არ მძინებია, ვფიქრობდი რა სიტყვებით შემემკო თქვენი კუბო. ერევნის მოედნიდან ამ სიცხე-პაპანაქებაში დიდუბეში ჩამოვდიე. ვდგევარ თქვენი საფლავის წინ დაქანცული, ოფლში გაწურული, შიმშილისაგან არაქათ გამოლეული, რომ უკანასკნელი მშვიდობით ვუთხრა თქვენს დიდებულ გვამს. შეიძლება აქ დავით ხარტიშვილმა და სხვებმა ჩემზე უფრო გრძელი და ქრელი სიტყვები სთქვან, რადგან მათი ყელი კარგა ხანია დასვენებულია, მაგრამ დაგარწმუნებთ ჩემი სიტყვები ყველაზე გულწრფელი და გულიდან ამონახეთქია. ენა მებმის... გონება არ მემორჩილება, სიცხისაგან, თუ მეტის მღელვარებისაგან ტვინი მიდუღს... ცრემლები მომაწვა... მეტის თქმა აღარ შემიძლია... მიიღეთ ჩემგან უკანასკნელი სალამი... მე და ჩემი წიგნის მაღაზია „ცოდნა“ ორივე ერთათ მუხლს ვიდრეკთ თქვენი წმინდა საფლავის წინაშე...

პატივისცემით **სოსიკო მერკვილაძე.**

---

*) სიტყვა ეს „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციას წარვუდგინე დასაბეჭდათ. დაბეჭდა, მაგრამ დამიმახინჯა, მოაკვეცა ის ადგილი, სადაც მუხლს ვიდრეკდით მე და ჩემი წიგნის მაღაზია „ცოდნა“. ამას მე არ დავივიწყებ. ეხლა თქვენ გთხოვთ დაგვიბეჭდოთ.

ს. მ.

„მათრახის“ რედაქცია სთხოვს პატივცემულ პროვინციის აგენტებს, მომავალ კვირამდე გამოუგზავნონ ცნობა (ვისგანაც გაზეთებს ღებულობენ) რამდენი ცალი ჟურნალი გაეგზავნოს გასასყიდათ.

იმ ქალაქებში და სტანციებში, სადაც ჟურნალ-გაზეთები არ მიდის გასასყიდათ, შეიძლება ჩვენი ჟურნალი გაეგზავნოს ყოველ-კვირეულათ ვინც მოისურვებს გავრცელებას. მსურველმა მიჰმართოს ჩვენს რედაქციას პირობების გასაგებათ.

ელექრო-მბეჭდავი „შრომა“ მუხრანის ქ. № 12.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.